112

საზოგადოებრივი უსაფრთხოების
მართვის ცენტრი

PUBLIC SAFETY
COMMAND CENTER

2023

წლიური ანგარიში
ANNUAL REPORT

შინაარსი

CONTENT

01

გიორგი არსოშვილი
GIORGI ARSOSHVILI
1

02

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"
PUBLIC SAFETY COMMAND CENTER "112"
2

03

სტატისტიკა 2023 | STATISTICS OF 2023
3

04

განახლებული მობილური აპლიკაცია
UPDATED MOBILE APPLICATION
4

05

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება
ROAD TRAFFIC SAFETY
6

06

ოჯახში ძალადობის ელ. მონიტორინგი
ELECTRONIC MONITORING OF DOMESTIC VIOLANCE
7

07
მოქალაქეთა მომსახურების ცენტრები
CITIZEN SERVICE CENTERS
9

08
საერთაშორისო თანამშრომლობა
INTERNATIONAL COOPERATION
10

09
სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა
ACTIVITIES OF STRUCTURAL UNITS
12

10
სასწავლო ცენტრი | TRAINING CENTER
14

11
ყოველწლიური ღონისძიებები
ANNUAL EVENTS
15

12
მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევა
CITIZEN SATISFACTION SURVEY
22

13
სამომავლო გეგმები | FUTURE PLANS
23

01 გიორგი არსოშვილი | GIORGI ARSOSHVILI

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის დირექტორი

DIRECTOR OF PUBLIC SAFETY COMMAND CENTER „112"

"

შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა, 2023 წელს, სხვადასხვა მიმართულებით, საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე, არაერთი აქტივობა განახორციელა.

112-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა გადაუდებელი შემთხვევების ოპერატიული და ეფექტური მართვა. აუცილებელია, თითოეულ მოქალაქეს მარტივად და შეუფერხებლად შეეძლოს გადაუდებელი დახმარების ნომერთან დაკავშირება. სწორედ ამიტომ, 2023 წელს, კიდევ უფრო გაუმჯობესდა დაკავშირების არხები. კერძოდ, განახლდა და ყველასთვის მარტივად ხელმისაწვდომი გახდა მობილური აპლიკაცია.

გადაუდებელი შემთხვევების მართვის გარდა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის საქმიანობის ასევე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და საგზაო უსაფრთხოების ეფექტური მართვა, რაც გულისხმობს, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, 24-საათიანი უწყვეტი ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებას. 2023 წელს, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი აქტივობები განხორციელდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტული მიმართულებაა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლება და მოძალადეზე ზედამხედველობის კიდევ უფრო ქმედითი მექანიზმის დანერგვა. ერთ-ერთ ასეთ ეფექტურ მექანიზმს ელექტრონული ზედამხედველობა წარმოადგენს.

2023 წელს, 112-ის მიერ ელექტრონული ზედამხედველობა 100-ზე მეტ პირზე ეფექტურად განხორციელდა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა დაიწყო მოქალაქეთა ინფორმირება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ამინდის მკვეთრი გაუარესების შესახებ, მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით ინფორმაციის გაგზავნის გზით.

112 განაგრძობს საზოგადოებრივი უსაფრთხოების განმტკიცების მიმართულებით აქტიურ მუშაობას, არსებული სერვისების გაუმჯობესებასა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ახალი პროექტების განხორციელებას.

მადლობა მინდა გადავუხადო შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას მუდმივი მხარდაჭერისთვის და ასევე, 112-ის გუნდს თავდაუზოგავი შრომისთვის".

Through the support of the Ministry of Internal Affairs of Georgia, in 2023, the Public Safety Command Center implemented various activities in diverse directions based on international practice.

One of the key fields of operation of 112 is prompt and efficient management of emergencies. It is essential for every citizen to have the ability to reach the emergency number easily and smoothly. For this reason, in 2023, channels of communication have been further improved; in particular, the mobile application has been updated and became easily accessible to everyone.

In addition to emergency case management, the fight against crime and effective road safety management may be considered as another significant activities of the Public Safety Command Center, that imply ensuring the 24-hour continuous video surveillance within the entire territory of the country. In 2023, important activities were carried out in this direction.

The priority field for the Ministry of Internal Affairs is to increase the effectiveness towards combating the violence against women and domestic violence as well as to introduce an even more efficient mechanism related to supervision over the abuser. Electronic monitoring represents one of such productive mechanisms.

In 2023, 112 conducted effective electronic monitoring of more then 100 individuals.

Herewith, it should be highlighted, that the Public Safety Command Center has commenced informing citizens concerning the abrupt deterioration of the weather conditions in various regions of Georgia via sending early information in the form of text (SMS) messages.

112 further continues active operation in terms of reinforcement public safety, refinement of existing services and implementation of new projects as outlined in its Action Plan.

I would like to express my sincere gratitude to the leadership of the Ministry of Internal Affairs of Georgia for their constant support as well as the "112" team for dedicated and devoted work."

02 საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112
PUBLIC SAFETY COMMAND CENTER

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და განმტკიცების პროცესში. ცენტრი მუდმივ რეჟიმში ახორციელებს გადაუდებელი დახმარების ოპერატიულ და ეფექტიან მართვას. აგრეთვე, უზრუნველყოფს 24-საათიან უწყვეტ ვიდეომეთვალყურეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დანაშაულის პრევენციის, დროული რეაგირებისა და საგზაო უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით.

LEPL of the Ministry of Internal Affairs of Georgia - Public Safety Command Center "112" plays pivotal role in terms of ensuring and strengthening public safety throughout the country. The Center continuously provides operative and efficient management of emergency services. Furthermore, it provides 24-hour continuous video surveillance within the entire territory of the country for the purpose of crime prevention, timely response and strengthening of road safety.

ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- გადაუდებელი შემთხვევების ოპერატიული მართვა;
- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესება;
- საგზაო უსაფრთხოების ეფექტური მართვა;
- ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა;
- საპოლიციო და სხვა საგამოძიებო სამსახურების მხარდაჭერა;
- კერძო დაცვითი საქმიანობის ზედამხედველობა.

The key activities of the Center are as follows:

- Operative management of emergency cases;
- Improving the fight against crime;
- Effective road safety management;
- Combating violence against women/domestic violence;
- Supporting police and other investigative agencies;
- Supervising the private security services.

03

სტატისტიკა 2023
STATISTICS FOR 2023

2023 წელს:

- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორებმა **3.900.000**-მდე ზარი მიიღეს.
- შეიქმნა **1.721.477** საქმე.

IN 2023:

- Public Safety Command Center “112” call takers received up to **3,900,000** calls.
- **1.721.477** emergency cases were processed.

3.883.727
მიღებული ზარი
ANSWERED CALLS



1.721.477
შექმნილი საქმე
CREATED CASES

04 განახლებული მობილური აპლიკაცია
UPDATED MOBILE APPLICATION

112-ის მობილური აპლიკაცია განახლდა და მეტად მორგებული გახდა მოქალაქეების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე.

განახლებული აპლიკაცია ხუთენოვანია და გარდა ქართული, ინგლისური და რუსული ენებისა უკვე ხელმისაწვდომია აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეც.

ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის აპლიკაციიდან 112-თან დაკავშირება უკვე ვიდეოზარის მეშვეობითაც არის შესაძლებელი. ასევე, აპლიკაცია ადაპტირებულია მხედველობის არმქონე პირებისთვისაც.

აპლიკაციის ჩანართში „რჩევები", განთავსებულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია ოჯახში ძალადობის, ბუნებრივი კატასტროფებისა და თამბაქოს კონტროლის შესახებ. განახლების ფარგლებში, ჩანართში „რჩევები" დაემატა ინფორმაცია ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ: რა არის ადრეული ქორწინება; როგორ ხდება მისი სამართლებრივი რეგულირება და როგორ ისჯება სამართალდამრღვევი. განახლება გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისთან თანამშრომლობით განხორციელდა.

აპლიკაციის ფუნქციებია:

SOS - ჩუმი განგაში - აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით 112-ში იგზავნება მოქალაქის ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი კოორდინატები და დაფიქსირებულ ლოკაციაზე იგზავნება პოლიცია. აპლიკაციის მეშვეობით ადგილმდებარეობის დადგენა შესაძლებელია მოქალაქის თანხმობის შემდეგ GPS სერვისის გააქტიურების შემთხვევაში.

ჩატი - ფუნქცია გამოიყენება სიტუაციებში, როდესაც მომხმარებელს არ შეუძლია საუბარი, თუმცა საშუალება აქვს, ოპერატორის შეკითხვებს მიმოწერით უპასუხოს.

ზარის განხორციელება - აპლიკაციის საშუალებით შესაძლებელია ზარის განხორციელება 112-ში და პარალელურად ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი კოორდინატების გაგზავნა.

ვიდეოზარი - არის 112-თან დაკავშირების ფუნქცია მხოლოდ ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის. შეტყობინებებს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორები მართავენ.

მობილური აპლიკაციას გააჩნია IOS-ისა და Android-ის პლატფორმების მხარდაჭერა.

112 Mobile Application has been updated and has become more adapted to the demands and needs of citizens.

The updated application is available in five languages and, in addition to Georgian, English and Russian, it is also available in Azerbaijani and Armenian languages.

Application allows deaf and hard of hearing people to contact 112 via video call. Moreover, the Application is adapted for visually impaired people.

The "Advices" tab within the App, contains important information on domestic violence, natural disasters and tobacco control. Within the framework of the update, information on early/child marriage has been added to the Advices tab, i.e.: what is early marriage; how it is legally regulated and how the offender is punished. The update was carried out in cooperation with the UNFPA Georgia - United Nations Population Fund.

The App features are as follows:

SOS - silent alarm - by pressing this button, the coordinates determining the location of the citizen are sent to "112" and the police crew is sent to the spot. The location can be determined through the App after the citizen agrees the term related to activation of the GPS service.

Chat - this feature is used in situations where the user is unable to speak, however has the opportunity to respond to the questions of the call taker via text message.

Call - the App has the feature to call "112" and simultaneously sends location-determining coordinates.

Video Call - this feature to contact "112" is activated for deaf and hard of hearing people only. Cases are handled by sign language call takers.

The Mobile Application is supported by IOS and Android platforms.

განახლებული მობილური აპლიკაცია
UPDATED MOBILE APPLICATION

112 GEORGIA

ჩამოტვირთვების რაოდენობა | DOWNLOADS:

82 000 ⇧



ზარის განხორციელება | Call

ჩატი | Chat with call-taker

ჩუმი განგაში | SOS

ვიდეოზარი | Video call
(მხოლოდ ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის | For deaf and hard of hearing people only)

Available on the Apple Store

Android App on GOOGLE PLAY

05 საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება
ROAD TRAFFIC SAFETY

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

2023 წელს საქართველოს მასშტაბით დამონტაჟდა 883 ვიდეოკამერა. მათ შორის - 211 ნომრის ამომცნობი და 672 ზოგადი ხედვის კამერა.

საქართველოს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე 2023 წელს ამოქმედებულია სიჩქარის კონტროლის 168 სექცია, რის საფუძველზეც კონტროლდება 447 კმ. საგზაო მონაკვეთი. დღეის მდგომარეობით, კონტროლდება დასავლეთის ცენტრალური მაგისტრალის 63%.

მიმდინარე წლის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით სულ დამონტაჟებულია 7379 ვიდეოკამერა, მათ შორის 2300 ნომრის ამომცნობი და 5079 ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა.

ჯამურად ამოქმედებულია 564 სიჩქარის კონტროლის სექცია, რის საფუძველზეც კონტროლდება 1987 კმ. საგზაო მონაკვეთი.

Ensuring road traffic safety is one of the priority areas for the Public Safety Command Center "112".

In 2023, 883 video cameras were installed throughout Georgia; including - 211 license plate recognition and 672 general vision cameras.

Within 2023, 168 speed control sections have been activated on the roads of domestic and international importance, which enables the possibility to monitor 447 km long road section. As of today, 63% of the West Highway is controlled by spead control sections.

According to the current year data, a total of 7379 video cameras are installed throughout Georgia, including 2300 license plate recognition and 5079 general vision cameras.

A total of 564 speed control sections have been activated, which enables monitoring of 1987 km long road section.



06 ოჯახში ძალადობის ელექტრონული მონიტორინგი

ELECTRONIC MONITORING OF DOMESTIC VIOLENCE

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რომლის ფარგლებშიც აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები.

2020 წლიდან 112-ში ფუნქციონირებს ელექტრონული მონიტორინგის ცენტრი, რომელიც 24-საათიან რეჟიმში უზრუნველყოფს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ელექტრონულ ზედამხედველობას.

2023 წელს, ელექტრონული მონიტორინგის ცენტრმა ზედამხედველობა განახორციელა 104 პირზე, რომელთა კონტროლიც 24 საათიან რეჟიმში ეფექტურად მიმდინარეობდა.

Combating violence against women and domestic violence is one of the main priorities of the Ministry of Internal Affairs, under which modern technologies are actively used.

Since 2020, Electronic Monitoring Center is operating in "112", which ensures 24/7 electronic supervision in accordance with the Law of Georgia on the Elimination of Violence against Women and/or Domestic Violence, and the Protection and Support of Victims of Such Violence.

Within 2023, the Electronic Monitoring Center executed effective supervision of 104 persons in a 24-hour mode.

07 მოქალაქეთა მომსახურების ცენტრები

CITIZEN SERVICE CENTERS

112-ის საჯარიმო ავტოსადგომებზე მოქალაქეთა მომსახურების ცენტრები გაიხსნა, სადაც მოქალაქეებს საშუალება აქვთ, კომფორტულ გარემოში, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მიიღონ სხვადასხვა სახის მომსახურება, კერძოდ: ავტოსატრანსპორტო საშუალების საჯარიმო სადგომზე გადმოყვანის და დგომის საფასურის დადგენა/გადახდა, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის დავალიანების შესახებ ცნობის მიღება და ავტოსატრანსპორტო საშუალების საჯარიმო სადგომიდან გაყვანისთვის სხვა საჭირო პროცედურების განხორციელება.

მოქალაქეთა მომსახურების ცენტრები ფუნქციონირებს, თბილისში, ორ ლოკაციაზე, 112-ის საჯარიმო ავტოსადგომების ტერიტორიაზე.

112-ში ევაკუატორით გადაადგილების სერვისი 2014 წელს დაინერგა. აღნიშნული სერვისის დანერგვის მთავარ მიზანს ადმინისტრაციული დარღვევებისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების დროს, დროებით ჩამორთმეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საჯარიმო სადგომზე დროული და უსაფრთხო გადაყვანა/განთავსება წარმოადგენს.

Citizen Service Centers started operation at the Parking Lots of the Public Safety Command Center "112" where the citizens have the possibility to benefit from variety of services in a comfortable environment, through the single-window system, in particular:

Determining/paying the fee for taking the vehicle to the Parking Lot,

Obtaining a notice of debt for individuals and legal entities, and undertaking other necessary procedures for the purpose of removing the vehicle from the Parking Lot.

Citizen service centers operate in two locations in Tbilisi, i.e., adjacent to the territory of "112" Parking Lots.

"112" introduced Vehicle Evacuation Service in 2014. The main objective of introducing the above-mentioned service is the timely and safe transfer/placement of temporarily seized motor vehicles to the Parking Lot in cases defined by the legislation on administrative offences and criminal law.

მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი
CITIZEN SERVICE CENTERS

112-ის საჯარიმო ავტოსადგომი
112 PARKING LOT

08 საერთაშორისო თანამშრომლობა
INTERNATIONAL COOPERATION

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის არაერთ დელეგაციას მასპინძლობს. ვიზიტები საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებასა და გამოცდილების გაზიარებას ემსახურება.

2023 წელს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი - აბდულა არიპოვი ეწვია. სტუმრებს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბუთხუზმა და 112-ის ხელმძღვანელმა პირებმა უმასპინძლეს.

დელეგაციის წევრებს დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ ცენტრის მუშაობის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მოქმედი ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემებისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით დანერგილი ელექტრონული მონიტორინგის სისტემის შესახებ.

2023 წლის განმავლობაში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს, 20-მდე ქვეყნის დელეგაცია ესტუმრა. **112-მა ჩეხეთის, გერმანიის, ლიეტუვას, ისრაელის, სომხეთის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების არაერთ დელეგაციას უმასპინძლა.**

უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერმინისტრის ვიზიტი 112-ში
PRIME MINISTER OF THE REPUBLIC OF UZBEKISTAN VISITED THE 112

Public Safety Command Center "112" hosts various delegations from different countries throughout the year. The visits are aimed at further deepening of international cooperation and experience sharing.

In 2023, within the framework of the state visit to Georgia, the Prime Minister of the Republic of Uzbekistan Abdulla Aripov visited the Public Safety Command Center. The delegation was hosted by the Minister of Internal Affairs of Georgia Vakhtang Gomelauri, Deputy Minister Giorgi Butkhuzi and the Heads of "112". Members of the delegation were delivered exhaustive information related to the key directions of the Command Center, including the emergency management, video-surveillance systems for the road traffic safety as well as Electronic Monitoring System introduced for the purpose of effective elimination of domestic violence.

Within 2023, Public Safety Command Center hosted delegations from up to 20 countries. **"112" hosted various delegations from the Czech Republic, Germany, Lithuania, Israel, Armenia, Austria and others.**

09 სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა
ACTIVITIES OF STRUCTURAL UNITS

სასამართლო განჩინებების აღსრულება

112 მნიშვნელოვან როლს ასრულებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. 112-ის ვიდეო-აუდიო ჩანაწერების განყოფილება, კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი მომართვის საფუძველზე, ამუშავებს და უფლებამოსილ პირებზე გასცემს გადაუდებელი დახმარების ერთიან სატელეფონო ნომერზე შემოსული შეტყობინებების შესახებ ინფორმაციასა და აუდიო ჩანაწერებს, გზებსა და შენობების გარე პერიმეტრებზე, შსს ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრებზე დამონტაჟებული ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებისა და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამხრე-ვიდეო კამერების ჩანაწერებს.

ამ გზით ცენტრი დახმარებას უწევს ყველა საგამოძიებო უწყებას მტკიცებულებების მოპოვების პროცესში.

2023 წელს კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, 112-ში წარმოდგენილი და აღსრულებული სასამართლო განჩინებების რაოდენობამ 2379 შეადგინა.

ENFORCEMENT OF COURT RULINGS

The "112" significantly contributes to the fight against crime. Operating within its competence," Video-Audio Recording Subdivision of the "112, processes and, upon on appropriate request provides authorized persons with information and audio recordings of calls received on the emergency number. Simultaneously, it provides recordings of video surveillance cameras installed on roads and outdoor perimeters of buildings, both internal and outdoor perimeters of administrative facilities belonging to the MIA territorial bodies. Additionally, it includes the recordings of the body cameras of the Patrol Police Department of the MIA.

Therefore, the Command Center provides assistance to all investigative agencies in the process of obtaining evidence.

In 2023, for the purpose of requesting the data stored in "112" computer system, the number of court rulings presented and enforced amounted to 2379.

საჯარო ინფორმაცია

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება საქართველოს მიერ ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში აღებულ ვალდებულებათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.

2013 წლიდან ქვეყანაში დამკვიდრდა პროაქტიული გამჭვირვალობის გარკვეული სტანდარტი. 112 ამ მხრივ მოწინავე პოზიციაზეა.

2023 წელს, 112-ის მიერ საჯარო ინფორმაციის 934 მოთხოვნა დამუშავდა. მათგან ნახევარზე მეტი (497) დაკმაყოფილდა. ნაწილს უარი სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო ეთქვა, ნაწილი კი შემდგომი რეაგირებისათვის გადაგზავნილ იქნა შესაბამის დანაყოფებში.

PUBLIC INFORMATION

Proactive publication of public information is one of the significant commitments undertaken by Georgia within the framework of Open Government Partnership (OGP).

Since 2013, a special standard of proactive transparency has been introduced within the country. "112" holds leading position in this regard.

In 2023, the "112" processed 934 requests related to public information. Among these, more than half (497) were satisfied, while some were declined due to insufficient legal justification and others were forwarded to relevant divisions for further response.

კერძო დაცვითი საქმიანობის შემოწმება

კერძო დაცვითი საქმიანობის კონტროლი 112-ის საქმიანობის ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ცენტრის უფლებამოსილი განყოფილება სისტემატურად ახორციელებს კერძო დაცვითი ორგანიზაციებისა და მცველების საქმიანობის შემოწმებას კანონმდებლობის მოთხოვნებთან და დარღვევისთვის პასუხისმგებლობას აკისრებს ორგანიზაციას, ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს.

PRIVATE SECURITY SERVICE INSPECTION

Another important aspect of the "112" activities involves the oversight of private security services. The authorized subdivision constantly monitors the adherence of the private security companies and their guards to legislative requirements. In case of violation the subdivision takes measures and imposes liability on the company, individual and/or legal entity.

2023 წელს, შემოწმების ჯგუფის მიერ თბილისში და რეგიონებში შემოწმებულ იქნა 234 დაცვის ობიექტი, რის შედეგადაც შედგენილია 19 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

ლიცენზირებული დაწესებულებების შემოწმება

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ ახორციელებს ლიცენზირებული დაწესებულებების გარე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შემოწმებას. კონტროლის ფარგლებში ამოწმებს სისტემის ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისობას საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და გასცემს ვიდეომეთვალყურეობის დამონტაჟების აქტს.

2023 წელს, გეგმური და არაგეგმური წესით, ცენტრის მიერ 527 ობიექტის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შემოწმება განხორციელდა, ხოლო 6400 პირს გაეწია კონსულტაცია ობიექტის გარე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.

ინფორმაციული ტექნოლოგიები

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისა და ტექნიკური დახმარების სამმართველოს მთავარი ფუნქციაა ქოლ-ცენტრის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების დანერგვა და გამართული ფუნქციონირება.

2023 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შეიქმნა სპეციალიზებული ვიდეოანალიტიკური პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს საპოლიციო ძალების საინფორმაციო მხარდაჭერას.
- დაინერგა ადამიანური რესურსების მართვის ახალი პროგრამა ადამიანური რესურსების საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი სასწავლო პროგრამების დანერგვის მიზნით.
- 15 სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის დაგეგმვა.
- სხვადასხვა სტრატეგიულ ობიექტზე მოეწყო ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა.
- საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა რეგიონში განთავსდა ვიდეომეთვალყურეობის 426 სპეციალური საგზაო ნიშანი.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს, სისტემის ფარგლებში, 25 ობიექტზე განხორციელდა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის დანერგვა.
- შეძენილ იქნა, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, რაც ხელს შეუწყობს საგამოძიებო მოქმედებების მხარდაჭერას.

In 2023, the monitoring team inspected 234 security facilities in Tbilisi and the regions of Georgia and as a consequence, 19 Administrative Offence Protocols were drawn up.

INSPECTION OF LICENSED INSTITUTIONS

Public Safety Command Center "112" oversees the inspection of the outdoor video surveillance system of licensed institutions. During the inspection, detailed evaluation is conducted to ensure that the technical characteristics of the system comply with the standards set by the Government of Georgia. Subsequently, statement pertaining the installation of videos surveillance system is issued.

In 2023, the video surveillance system of 527 facilities was inspected by the Center in a scheduled and unplanned manner and 6400 people were consulted on the compliance of the facility outdoor video surveillance system with the requirements prescribed by the legislation.

INFORMATION TECHNOLOGIES

The main function of the IT Development and Technical Support Division is to ensure proper operation of the Call Center as well as introduction and proper functioning of video surveillance systems.

Within 2023, the following activities were carried out:

- Specialized video analytics program was created, which supports and facilitates provision of information to the police forces.
- New human resource management program was introduced for the purpose of identification HR needs and implementation of relevant training programs.
- Designing of video surveillance system was carried out in 15 different municipalities. The video surveillance system was installed at various strategic facilities.
- Throughout Georgia, 426 special traffic signs on video surveillance were placed in different regions.
- Within the system of the Ministry of Internal Affairs of Georgia video surveillance system was introduced at 25 facilities.
- An artificial intelligence-based video surveillance system has been purchased, aiming to enhance support of investigative actions.

10 სასწავლო ცენტრი
TRAINING CENTER

112-ის სასწავლო ცენტრი მუდმივად ზრუნავს, როგორც მოქმედი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ოპერატორობის კანდიდატების პროფესიულ მომზადებაზე, ასევე, უზრუნველყოფს მომიჯნავე სამსახურების თანამშრომელთათვის სხვადასხვა თემატიკის ტრენინგების ორგანიზებასა და ჩატარებას.

2021 წელს, 112-ში დაინერგა საერთაშორისო ISO 21001:2018 სტრანდარტი, „საგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტ სისტემის ხარისხი“, რაც უზრუნველყოფს სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგების ხარისხის ამაღლებას, სასწავლო პროცესში ახალი მიდგომების დანერგვასა და კონკურენტუნარიანობას, რაც პოზიტიურ გავლენას იქონიებს მომავალი ოპერატორების მომზადება/გადამზადების პროცესზე და დადებითად აისახება ქოლ-ცენტრის მომსახურების ხარისხზე.

სასწავლო ცენტრს, პროფესიული მომზადების პროგრამა „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“-ს ფარგლებში, შესაძლებლობა აქვს ქოლ-ცენტრის ოპერატორების მომზადების სერვისი შესთავაზოს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებს. პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებულებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატები.

2023 წლის განმავლობაში, 112-ის სასწავლო ცენტრის მიერ გადამზადდა 1700-ზე მეტი პირი (112-ის თანამშრომლები და მომიჯნავე სამსახურების წარმომადგენლები).

"112" Training Center constantly strives for raising the qualifications of current employees and provide professional training for prospective call takers. Moreover, it organizes and conducts comprehensive trainings covering diverse topics of mutual interest for the employees of the line agencies.

In 2021, "112" has introduced ISO 21001:2018 international standard, specifically focusing on quality management system of educational institutions. This initiative ensures to enhance the quality of the trainings conducted by the Training Center incorporating modern approaches and fostering competitiveness the educational process. this undertaking is expected to yield positive impact on the training/retraining process of future call takers, consequently contributing to the services delivered by the Call Center.

Within the framework of the professional training programme – "Contact Center Remote Service Specialist", "112" Training Center is eligible to offer call taker training services to any interested party, both public and private organizations. Upon successful completion of the programme, graduates will be awarded certificates recognized by the state.

Within 2023, the "112" Training Center trained more than 1700 individuals (including "112" employees and the representatives of the line agencies).

11 ყოველწლიური ღონისძიებები
ANNUAL EVENTS

112-ის დღე | 112 DAY

2009 წლიდან, ევროკომისიის, ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს გადაწყვეტილებით, 11 თებერვალი მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში 112-ის დღედ აღინიშნება. ამ დღეს, საქართველოს 112 ხალხმრავალ ადგილებში სხვადასხვა სახის აქტივობას ახორციელებს. იმართება შეხვედრები სკოლებსა და უნივერსიტეტებში, ტარდება საინფორმაციო კამპანიები სოციალურ მედიაში, სატელევიზიო და რადიო გადაცემებში. აღნიშნული აქტივობები მიზნად ისახავს 112-ის შესახებ ცნობადობის გაზრდას.

2023 წლის 11 თებერვალს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზმა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112"-ის თანამშრომლებს 112-ის დღე პირადად მიულოცა და 4 მათგანი სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის შინაგან საქმეთა მინისტრის მადლობის სიგელით დააჯილდოვა.

Since 2009, according to the decision of the European Commission, the European Parliament and the European Council, 11 February is celebrated as the "112 Day" in more than 80 countries throughout the world. On this day, "112 Georgia" performs various activities in places of public gathering.

Meetings are held in schools and universities, information campaigns are conducted via social media, TV and radio programs. These initiatives collectively aim to enhance awareness of "112".

On 11 February 2023, the Deputy Minister of Internal Affairs Giorgi Butkhuzi personally congratulated the employees Command Center on "112 Day" and four of them were awarded with a Certificate of Appreciation by the Minister of Internal Affairs for their exemplary performance of official duty and conscientious service.

პოლიციელის დღე | POLICE DAY

პოლიციელის დღესთან დაკავშირებით, 112-ის ოპერატორები, „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მედალიონებით დაჯილდოვდნენ.

With regard to Police Day, call takers of the Public Safety Command Center "112" were awarded medallions of the Ministry of Internal Affairs for their special merit.

სამინისტროს მედალიონით - „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ დაჯილდოვდა 112-ის ოპერატიული მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - სალომე ნასრაშვილი. მისი უშუალო ჩართულობით, არაერთხელ მომხდარა სხვადასხვა ტიპის დანაშაულის აღკვეთა და განსაცდელში მყოფი მოქალაქეების გადარჩენა.

Ministry Medallion – for special merit, was awarded to the Chief Specialist of the Operative Response Division of the 112 – Salome Nasrashvili. There are many cases when through the direct involvement of Salome Nasrashvili, different types of crimes have been prevented and lives of citizens were saved.

სალომე ნასრაშვილი | SALOME NASRASHVILI

სამინისტროს მედალიონით - „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ დაჯილდოვდა 112-ის ოპერატიული მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - ვალერი ჭალიძე.

112-ში შემოვიდა ზარი, რომელიც მიიღო ვალერი ჭალიძემ. ზარი 2 წამში გაითიშა, თუმცა ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ოპერატორს ეჭვი გასჩენოდა დახმარების აუცილებლობის შესახებ. დროულად გაერკვა სიტუაციაში, გამოიჩინა სწრაფი რეაგირებისა და ანალიზის უნარი, დაადგინა მისამართი და შეტყობინება ოპერატიულად გადასცა შესაბამის სამსახურებს.

Ministry Medallion – for special merit, was awarded to the Chief Specialist of the 112 – Valeri Chalidze.

Emergency call was responded by Valeri Chalidze – who is the call taker of Tbilisi Center of the Operative Response Division. The call was disconnected in 2 seconds; however, this was enough for the call taker to suspect the need for help. He immediately realized the situation, demonstrated the ability of quick response and analysis, determined the address and transferred the emergency information to the relevant services without delay.

ვალერი ჭალიძე | VALERI TCHALIDZE

112

112

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე | INDEPENDENCE DAY OF GEORGIA

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით ბათუმში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიება გაიმართა, სადაც სხვადასხვა დანაყოფმა საინფორმაციო სტენდები და საგამოფენო სივრცეები წარმოადგინა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112“-ის სივრცეში, მოზარდებმა სპეციალურად მათთვის შექმნილ თამაშებში მიიღეს მონაწილეობა, საიდანაც შეიტყვეს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ გადაუდებელ შემთხვევებში. გამარჯვებულ ბავშვებს სპეციალური პრიზები გადაეცათ. ღონისძიებაზე მოსულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ 112-ის „სიცოცხლის ზარის“ სტენდთან , „112-ის გმირი“ ბავშვების მიერ ცენტრში განხორციელებული რეალური ზარებისთვის მოესმინათ.

On the occasion of the Independence Day of Georgia and organized by the Ministry of Internal Affairs, a solemn event was held in Batumi, where various structural units presented information and exhibition stands.

In Public Safety Command Center "112", adolescents took part in games specially designed for them, from which they learned how to act in emergency situations. Special prizes were awarded to the winners. At the "112 life call" stand, the guests of the event had the opportunity to listen to the real emergency calls made by "Hero Children of 112".

ემეგობრე პოლიციას
BEFRIEND THE POLICE

„ემეგობრე პოლიციას“ | "BEFRIEND THE POLICE"

2022 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო საინფორმაციო-შემეცნებით კამპანია „ემეგობრე პოლიციას“ ახორციელებს. კამპანიის ფარგლებში ბავშვებისა და მოზარდებისათვის ტარდება არაერთი შემეცნებით-გასართობი აქტივობა. 2023 წელს აღნიშნული პროექტი ახალქალაქში გაგრძელდა. 112-მა მოზარდებს სპეციალურად მათთვის შექმნილ თამაშებში მონაწილეობა შესთავაზა. ბავშვებმა მიიღეს ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მოიქცნენ გადაუდებელ შემთხვევებში და რატომ არ შეიძლება გადაუდებელი დახმარების ნომერზე არამიზნობრივი ზარის განხორციელება. გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები გადაეცათ.

ასევე, ღონისძიებაზე მოსულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, 112-ის „სიცოცხლის ზარის“ სტენდთან, ცენტრში შემოსული რეალური ზარებისთვისაც მოესმინათ.

Since 2022, the Ministry of Internal Affairs has been implementing the information and cognitive campaign "Befriend the Police". Within the framework of this campaign a number of educational and entertaining activities are held for children and adolescents. In 2023, the above-mentioned project was further continued in Akhalkalaki. 112 offered teenagers to participate in games specially designed for them. Children received valuable information on how to act in an emergency situations and emphasized the importance of refraining from making non-targeted to the emergency number. Special prizes were awarded to the winners and event guests had the opportunity to listen to the real emergency calls incoming to the Command Center at the "112 life call" stand.

ახალგაზრდული ბანაკი ანაკლიაში | YOUTH CAMP IN ANAKLIA

კამპანიის „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, ახალგაზრდულ ბანაკს ანაკლიაში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის დირექტორი ეწვია.

ბანაკში მყოფმა მოზარდებმა მართლწესრიგთან დაკავშირებით მათთვის საჭირო და აქტუალურ სხვადასხვა თემაზე, ასევე, სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებზე მიიღეს ინფორმაცია. შეხვედრაზე, ყურადღება გამახვილდა დანაშაულის პრევენციისთვის სამართალდამცველებთან დროული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

As a part of the "Befriend the Police" campaign, Director of the Public Safety Command Center "112" visited the Youth Camp in Anaklia.

The camp attendees received information about topics of their interest related to the law and order as well as civil security. At the meeting, the importance of timely cooperation with the law enforcement officers for the purpose of crime prevention was highlighted.

მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა
RAISING AWARENESS OF THE EMERGENCY NUMBER AMONG YOUTH

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112“-ს პროექტის „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა“ ფარგლებში, 2023 წელს 3000-ზე მეტი მოსწავლე ესტუმრა. 112-ის წარმომადგენლებმა მოზარდებს ინფორმაცია მიაწოდეს იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს გადაუდებელი შემთხვევა, რა ნომერზე უნდა დარეკო ასეთი შემთხვევების დროს და როგორ უნდა ითანამშრომლო ოპერატორთან.

მოსწავლეებს ასევე განემარტათ გადაუდებელი დახმარების ნომერზე არამიზნობრივი და ცრუ შეტყობინებების განხორციელების შედეგები და ის სანქციები, რაც კანონით არის გათვალისწინებული ასეთ შემთხვევებში.

Under the "112" project – Raising Awareness of the Emergency Number among Youth, in 2023, more than 3000 schoolchildren visited the Public Safety Command Center "112". Command Center representatives delivered information on what the emergency means, what number should be dialed in such situations and how to cooperate with the call taker.

The schoolchildren were clarified the threats related to the non-targeted and false calls made to the single emergency number and the sanctions defined by the legislation in such cases.

„112-ის გმირი“ | “ HERO OF 112“

ბარბარე რიჟამაძე
BARMARE RIJAMADZE

ბექა ოქრომელიძე
BEKA OKROMELIDZE

მარიამ ბაქრაძე
MARIAM BAKRADZE

ნიკოლოზ თანიაშვილი
NIKOLOZ TANIASHVILI

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 112-მა, 4 მოზარდს „112-ის გმირის“ წოდება მიანიჭა. მოზარდებმა ყველაზე მძიმე და გადამწყვეტ წუთებში ადამიანების გადასარჩენად, გადაუდებელი დახმარების ნომერზე დროულად დარეკეს, სწორად ითანამშრომლეს ოპერატორთან და სხვისი სიცოცხლე გადაარჩინეს.

ბარბარე რიჟამაძე, 10 წლის - ბარბარემ 112-ში უმცროსი ძმის დასახმარებლად დარეკა, რომელმაც თამაშის დროს ხელი დაიზიანა. მიუხედავად იმისა, რომ ბარბარე მარტო არ იყო სახლში, პირველად სწორედ მას გაახსენდა 112-ში დარეკვა და ძმის დასახმარებლად სასწრაფო-სამედიცინო დახმარება გამოიძახა.

ბექა ოქრომელიძე, 14 წლის - ბექამ 112-ში ქუჩაში უგონოდ მყოფი უცნობი მამაკაცის დასახმარებლად ქ.რუსთავიდან დარეკა. ოპერატორს ზუსტად აუხსნა მისამართი და სასწრაფო-სამედიცინო დახმარება გამოიძახა.

მარიამ ბაქრაძე, 12 წლის - მარიამმა 112-ში ბებიის დასახმარებლად დარეკა, ოპერატორს სრული სიზუსტით მიაწოდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და არსებული სიმპტომების შესახებ ინფორმაცია. ისიც აღნიშნა, რომ ბებიას ინსულტი ჰქონდა გადატანილი და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების გამოძახება ითხოვა.

ნიკოლოზ თანიაშვილი, 11 წლის - ნიკოლოზმა 112-ში პატარა ძმის დასახმარებლად დარეკა, რომელიც მაღალი ტემპერატურის გამო გონებას კარგავდა. მიუხედავად მძიმე ემოციური მდგომარეობისა, ნიკოლოზი არ დაიბნა, ოპერატორს ზუსტად მიაწოდა ინფორმაცია მისამართის შესახებ და სასწრაფო-სამედიცინო დახმარება გამოიძახა.

პროექტი „112-ის გმირი“ 2016 წლიდან, ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, ყოველ წელს ჯილდოვდება ყველა ის მოზარდი, რომელმაც მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გამოიჩინა და კარგად იცის, თუ როგორ უნდა მოიქცეს გადაუდებელ შემთხვევებში.

On the occasion of International Children's Day, Public Safety Command Center "112" awarded four children with the title "Hero of 112". In order to save people in the most difficult and crucial moments, children dialed the emergency number on time, cooperated properly with the call taker and saved life.

BARBARE RIZHAMADZE, 10 YEARS OLD – Barbare dialed 112 to help her younger brother, who injured his hand while playing. Although Barbare was not home alone, she was the first to remember to call 112 and ask for medical emergency to help brother.

BEKA OKROMELIDZE, 14 YEARS OLD – Beka called 112 to save unconscious stranger in the street in Rustavi. He explained the exact address to the call taker and requested an ambulance.

MARIAM BAKRADZE, 14 YEARS OLD – Mariam called 112 to save her grandmother. She provided the call taker with the complete information regarding her health condition and existing symptoms. In addition, she mentioned that her grandmother had suffered a stroke and asked for the help of an ambulance.

NIKOLOZ TANIASHVILI, 11 YEARS OLD – Nikoloz dialed 112 to save his little brother. The child was losing consciousness due to the high temperature. Despite his severe emotional state, he did not get confused, delivered accurate information to the call taker regarding the address and asked for an emergency medical help.

The project "Hero of 112" has been implemented since 2016. Within the project, every year all the adolescents who have shown high civic responsibility and know well how to behave in emergency situations, are awarded.

12 მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევა
CITIZEN SATISFACTION SURVEY

112 მუდმივად ზრუნავს მომსახურების ხარისხის ამაღლებასა და მოსახლეობისთვის გაუმჯობესებული სერვისის მიწოდებაზე. 112-ის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული კითხვარის მეშვეობით (112.gov.ge), ნებისმიერ მსურველს შეუძლია დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება ცენტრის მომსახურებასთან დაკავშირებით.

2023 წელს გამოკითხულთა კმაყოფილების მაჩვენებელი **95%** -ს შეადგენს.

"112" constantly strives to raise the quality of service and provide advanced service to the population. Through the questionnaire posted on the "112" official website (112.gov.ge), anyone can share their opinion regarding the services provided by the Command Center.

In 2023 overall satisfaction rate of the respondents reached **95%**.

13 საერთავლო გეგმები
FUTURE PLANS

სამართლებრივი აქტების პროექტების ინიცირება, რაც უზრუნველყოფს არსებული სერვისების დახვეწასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.	Initiation of draft legislation, which ensures refinement of existing services and improvement of service quality.
საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა/ანალიზი და დანერგვა, არსებული სერვისებისა და პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის მიზნით.	Study/analysis and introduction of the best international practices in order to harmonize existing services and practices with the European standards in the best way possible.
თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა ტრენინგებისა და სასწავლო მოდულების განხორციელება.	Implementation of various trainings and training modules in order to raise the qualifications of employees and improve their professional skills.
მოქალაქეთა საჭიროებებზე ორიენტირებული სხვადასხვა ელექტრონული სერვისის დანერგვა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და გამარტივების მიზნით.	Introduction of various electronic services focused on the citizen needs, for the purpose of improvement of the quality and simplification of the services.
112-ის საოპერაციო პროგრამული უზრუნველყოფა „Erc Phone"-ის განვითარება, თანამშრომლების საჭიროებებზე მორგებისა და არსებულ გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით.	Development of the "112" operational software - ERC Phone in order to adjust to the needs of the employees and respond the existing challenges.
ახალი ვიდეოანალიტიკური სისტემის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, პრევენციას და საზოგადოებრივი უსაფრთხოების განმტკიცებას.	Introduction of a new video analytical system, which shall contribute to the elimination and prevention of crime, as well as strengthening of public safety.
დამატებით საშუალო სიჩქარის კონტროლის სექციების მოწყობა, საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი გზებზე, საგზაო უსაფრთხოების განმტკიცებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ადმინისტრირების მიზნით.	Locate additional average speed control sections on the roads of domestic and international importance, aiming to strengthen the road traffic safety and administration of administrative offenses.
სახელმწიფო სანომრე ნიშნის ამომცნობი ვიდეოანალიტიკური პროგრამის ახალი მოდულების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს საგზაო უსაფრთხოების განმტკიცებას და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ადმინისტრირებას.	Introduction of the new video analytics program modules for the state license plate recognition, which shall facilitate the process of strengthening the road traffic safety and administration of administrative offenses.
ლიცენზირებული დაწესებულებების ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, რაც უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვას.	Determination of compliance of video surveillance systems of licensable establishments with the requirements prescribed by the legislation, which shall ensure crime prevention, public safety and property protection.
საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და არამიზნობრივი ზარების შემცირების მიზნით სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიის განხორციელება - შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისთვის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებისთვის.	Conducting of information campaign for appropriate target groups, including ethnic minorities in order to raise the awareness and reduce false calls.
ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და ვიზიტორთა მიერ კომფორტულ გარემოში სხვადასხვა სახის მომსახურების მიღების მიზნით.	Implementation of infrastructural project to improve the working conditions of employees and for visitors to receive various services in a comfortable environment.
ახალი (საჯარიმო) სადგომის ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალებების განთავსებას უსაფრთხო და დაცულ ტერიტორიაზე.	Arrangement of new infrastructure for the Parking Lots, which ensures the placement of the vehicles in a safe and secure area.

112.gov.ge